№ 193, სექტემბრის 8, კვირა. 1866—1885 სექტემბრის 8, კვირა. № 193.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რაცხვა სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლებელთათვის 3 მანათი.**

## ნავთის მილი ბაქოდამ ბათუმამდე

თბილისი, სექტემბრის 8-ს.

გუშინდელმა ტელეგრამამ დიდად საყურადღებო ამბავი მოგვიტანა პეტერბურგიდამ. ჩრდილოეთის სააგენტო გადაწყვეტით გვაცნობებს, რომ ნავთის გამყვანის მილის გაკეთება ბაქოდამ ბათუმამდე დაიწყება ენკენისთვის გასულსა და ხარჯთ-აღრიცხვით ამ საქმის შესრულება 16 მილიონი მანათი დაჯდება.

როგორც ვიცით, აზრი მილით ნავთის გაყვანისა ბაქოდამ—ამ სანავთო სამეფოდამ—ბათუმამდე, რომელიც მთელის ევროპის სამხღვრის ახლო მდებარეობს და მშვენიერს ნავთ-სადგურს წარმოადგენს, დაიბადა ამ რამდენიმე წლის წინად საზოგადოებას ეს აზრი ძრიელ მოეწონა, მაგრამ მის არსებაში მოყვანის შესახებ-კი ეჭვი შეიტანა, რადგან საძნელო საქმეს წარმოადგენდა და დიდს ხარჯს ითხოვდა ხაზინისგან; აქამდე, ვიდრე ამიერ-კავკასიის რკინის-გზა ბაქომდე არ იყო გაკეთებული, ეს აზრი მხოლოდ პროექტად რჩებოდა.

მართლაც, რა აზრად მოსასვლელი იყო მაშინ ნავთის მილის გაყვანა, როდესაც უპირველესი საჭიროება სახელმწიფოსი დაკმაყოფილებული არ იყო, როდესაც რკინის-გზა, მხოლოდ ნახევრად იყო გაკეთებული და სავაჭრო და სამრეწველო ინტერესებს თუ, თორემ პოლიტიკურს ინტერესებს სრულიად ვერ ემსახურებოდა; შეუძლებელიც იყო მაშინ ამ გვარის აზრის აღსრულებაზედ ფიქრი. ამ აღსრულებას მოუნდებოდა იმოდენი ფული, იმოდენი შრომა და ჯაფა, რომ ხაზინი ადვილად ვერ იკისრებდა. საქმეს უფრო ის აძნელებდა, რომ გზა, რომელზედაც უნდა გაევლო მილს, მთაბარიან ადგილს წარმოადგენს.

ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ზოგიერთმა პირებმა მოიწადინეს მილი ჩრდილო-კავკასიაზედ გაეყვანათ, რადგანაც ჩრდილო-კავკასია ვაკე მინდორს წარმოადგენს, იმდენი სიძნელე და დაბრკოლება არ დახვდებათ და ამ აზრით შედგენილი პროექტი წარდგენილ იქმნა კიდეც სახემწიფო რჩევაში განსახილველად.

დღეს, როგორც სჩანს ზემოხსენებული ტელეგრამიდამ, ეს საგანი საბოლოოდ გადაწყვეტილა და დრო მუშაობის დაწყობისა კიდეც დაუნიშნავთ.

მილის გაყვანის შემდეგ, გაუქმდება, რასაკვირველია, ცისტირნებით, ანუ ნავთის ვაგონებით გადატანა ამ სასარგებლო და საჭირო სანათის მასალისა ამიერ-კავკასიის რკინის-გზით. ამით, რასაკვირველია, საკმაოდ ბლომი შემოსავალი მოაკლდება რკინის გზის საზოგადოებას. მაგრამ თვით საზოგადოება ამით არას არა ჰკარგავს. საზოგადოებამ გზა გაიყვანა იმ პირობით, რომ მართებლობამ იკისრა დამატება საჭირო ფულისა სახემწიფო ხაზინიდამ, უკეთუ შემოსავალი გზისა ვერ გადასწვდება ხარჯსა. მაშასადამე, ნავთის მილის გაყვანით, თუ აკლდება ვისმე, ისევ ხაზინას აკლდება და არა რკინის გზის საზოგადოებას.

მეორე მხრით, თუ სახემწიფო ხაზინა ამ შემთხვევაში ჰკარგავს რამდენსამე მილიონს, იგი იგებს სხვაფრივ ნავთის მილის გაყვანა აუარებელს ნავთს გაზიდავს ბაქოდამ ბათუმში, საიდამაც ეს მასალა გავა ევროპიულს მაზრებში და თავის სიეფით ადვილად დასჩაგრავს სხვათა ქვეყნების ნავთს და სხვა გვარად სახმარებელს სანავთო მასალას ამ გვარი გამარჯვება ჩვენის ნავთისა შესცვლის სავაჭრო ბალანსს რუსეთის სასარგებლოდ და ეს გარემოება ადვილად დააჯილდოვებს რუსეთის სახემწიფოს იმ დანაკლისისათვის, რომელიც მას მოუვა ამიერ-კავკასიის რკინის-გზის გარანტიის ვალდებულებათა შესასრულებლად.

კერძოდ, ჩვენის ქვეყნისათვის ფრიად სასარგებლოა ამ მილის გაყვანა ჩვენის ქვეყნის შუა-გულ; მილს კარგს ბაზარ ადგილებში ექმნება სტანციები ანუ რეზურვუარები, რომელიც ადვილად და იაფად დააკმაყოფილებს ჩვენის ხალხისა და ქვეყნის საჭიროებას სანათ მასალით.

## ძველი ქართული ოჯახი

(დასასრული მესამე წერილისა.*)

უბრალოდ დაგდების გარდა, ქმარს სხვა უპირატესობაც ჰქონდა ცოლის წინაშე. კანონი ესარჩლებოდა კაცს, მისი მომხრე იყო სხვა შემთხვევაშიც: «თუ კაცმან თავისი ცოლი ბოზობაზედ დაახელოს და მოჰკლას, არც ძმისაგან და არც ნათესავისაგან სისხლი არ ეთხოვების» (ვახტ. სამ. მუხ. მბ, სადაც ჩამოთვლილია, თუ რა შეეძლო ვისმეს დაუსჯელად მოეხდინა, **условія необходимой обороны**). ცოლის მოკვლა ბოზობისათვის, რომელიც ძველს რომში იცოდენ და რომელსაც ეხლაც უსასჯელოდ სტოვებს ნაპოლეონის კოდექსი, დედაკაცის დაჩაგრულობას გვიმტკიცებს მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელს ქმრის ბოზობა არა თუ მოკვლისა, სხვა რისამე სასჯელის ნებასაც არ აძლევდა, ვითომ ქმრის მრუშება არაფერია! მართალია, კანონი ავალებდა მოსამართლეს გაესინჯა—იქნება ცოლი «ემართლებოდეს» ქმარს მოკვლას, მაგრამ დაუსჯელობაზედ კი არაფერს ამბობდა,—თუ ცოლმან ქმარი მოკლას.... თუ ასეთი რამ უქნია, რომ ემართლებოდეს, თქვენ იცით.... ღმერთმან ნუ ქნას და თუ ჩვენს ჟამში მოხდა, ჩვენ ვიცით» (მუხ. ჲე.) საზოგადოდ რომ ითქვას კანონი სასტიკად უცქეროდა მრუშებას, ისრე სასტიკად, რომ ერთს ადგილას ასე ამბობს: «თუ არ ბოზობისათვის ცოლ-ქმარნი ერთმანეთს ვერ გაეყრებიან» (მუხ. ჲგ); მაგრამ საქმე ის არის; რომ ამ შემთხვევაში დანაშაულება თავისის სასჯელით თავს ეხვია მარტო დედა-კაცს, მარტო იგი იყო პასუხის მგებელი ბოზობისათვის, თითქმის სწორედ ისრე, როგორც, მაგ., აწინდელს საფრანგეთში, სადაც ქმარს ნება აქვს დაუსჯელად იბოზოს რამდენიც ჰსურს (Побѣдоносцевъ, стр. 70—71.) და სადაც ცოლს კი ძვირად უჯდება ეს შეცოდება. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბოზობას მიუცილებლად თან არ მოსდევდა ცოლის გაშვება, რადგანაც—«თუ ქალს ბოზობა შეემთხვიოს, თუ უნდა გაუშვებს... თუ უნდა არ გაუშვებს, ორივ კაცის ხელს არის» (მუხ. ჲზ).

ჩვენ ვსთქვით, რომ ცოლ-ქმართა შორის ურთიერთობის შესახებ კანონი არ ადგია გარკვეულს გზას და თითონ მკითხველიც შენიშნავდა ამას. უბრალოდ დაგდებას კანონიერნი მიზეზნიც უდგიან გვერდით, მაგრამ არც უბრალოდ დაგდება არის დამოკიდებული კაცის სრულს სურვილზე,—«ცოლი და ქმარი რაგინდ სძულდენ ერთმანეთსა, უბრალოდ გაყრა არ იქნების; კათალიკოზმან წვრთნით უნდა შეარიგოს» (მუხ. ჲვ). უბრალოდ დაგდება ნაშთი იყო ძველის დროისა, იმ დროისა, როცა ცოლ-ქმრობა ჯერ კიდევ არ შეადგენდა საეკლესიო დაწესებულებას. შემდეგში ეს ჩვეულება განდევნა ეკლესიამ და სულ სხვა ხასიათი დასდო ქორწინებას, თუმცა ძირეულად ვერ აღმოფხვრა ხალხის ძველი შეხედულება ცოლ-ქმრობაზე*); ეკლესიამ გააძნელა ცოლის დაგდება, მარტივი მიზეზის მაგივრად წინ-წამოაყენა ძნელი საბუთი. აი რისათვის ცოლ-ქმრობრივს ურთიერთობაში ჯერ კიდევ ძველი ახალს ებრძვის, ჩვეულება საეკლესიო და იურიდიულს ფორმალიზმს არ ურიგდება. სხვათა შორის, სწორედ ამ ჩვეულებისა და საეკლესიო უფლების ბრძოლით აიხსნება მეორე მხარე ცოლ-ქმართა შორის ურთიერთობისა, სახელდობრ ის მოვლენა, რომ საეკლესიო ძალას ფეხი გადგმული ჰქონდა იქაც კი, სადაც მას არაფერი ეკითხვის: «კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს, უპატიურად ეპყრობოდეს და ურიგოს უშვრებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს და ავად მოეპყრას; კათალიკოზმაც ასრე უყოს, სხვა ამას გარდა, თუ რომ ცოლ ქმრობაში ურიგო რამ მოხდეს, ის კათალიკოზმან იცის» (მუხ. ჲდ). ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენელს, კათალიკოზს ხელი მიუწვდებოდა იმისთანა რამეზედაც კი, როგორც ცოლ-ქმრის ერთიერთმანეთის მოპყრობა! ცხადად სჩანს-რა ღრმა და ძლიერი გავლენა მოიხვეჭა ეკლესიამ ოჯახის შინაურს წესზედ, მყუდროებაზედ ესევე ფაქტი იმასაც ამტკიცებს, რომ კანონი სასტიკად სდევნიდა ყოველგვარს არა საკადრისს საქციელს ცოლ-ქმართა შორის, სცდილობდა მათ შორის დაეცვა ზნეობრივი კავშირი,—«თუ ცოლი დასჭრას ან დააშაოს, თუ ცოლს უნდოდეს სისხლი აიღოს და გამოართვას» (მუხ. ჲგ), ანუ კიდევ: «თუ ცოლმან ქმარს ან სცეს და ან დასჭრას დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათოლიკოზმან» (მუხ. ჲე).

უბრალოდ დედა-კაცის დაგდებას ბერძ-

*) იხილე «დროება» № 192.

*) ეხლაც ჩვენს მთიელებს, მაგ. ხევსურებს ცოლ-ქმრობა მიაჩნიათ უბრალო პირობად, ხელ-შეკრულობად, რომლის დარღვევა სრულებითაც არ ითხოვს ეკლესიის ნება-რთვას. ცოლის დაგდება ადვილი საქმეა, ამისათვის საჭიროა მხოლოდ სისხლის დაურვება (სამწუნობრო). სხვა ადგილას ასე არ იყო; მაგ., თრიალეთის მხარეში ბერები არჩევდენ საქმეს მრუშების და სისხლთ-აღრევის შესახებ, ჯარიმიდამ ნაწილს თავისთვინაც იღებდენ. Цер. гудж. стр. 80.

## კალიფორნია ჩვენში

განსვენებულმა ვარანცოვმა ერთგვარი ვაზი შემოიღო ჩვენში, რომელსაც იმერეთში და გურია-სამეგრელოში ადესას უძახიან (ვითომ ადესიდგან იყოს მოტანილი), მაგრამ ნამდვილად კი იზაბელა ჰქვიან და მოტანილია ყირიმიდგან. იზაბელას ღვინოს მოწონება არა აქვს ჩვენში,—სამასხროდ აქვთ აღებული. «ღმერთგამწყრალ და მყრალ ადესას» უძახიან და ძალიანაც ეთაკილებათ საპატიო სტუმართან ამ ღვინის სუფრაზე შემოტანა; მაგრამ რადგან ყურძნის სნეულება—«ნაცარი» მას ვერასა ჰსწყენს და სხვა გვარი ყურძენი კი თითქმის ერთიანად მოსპო ჩვენში,—სულ არაობას ადესა ამჯობინეს და ამ უკანასკნელ 10-12 წელიწადში ძალიან მაგრად მოჰკიდეს ხელი ამ ვენახის გაშენებას; ქვემო-იმერეთში და გურია-სამეგრელოში (სადაც უფრო მკვიდრად მოიდგა ფეხი ნაცარმა) არ არის მოსახლე კაცი, რომ ეს ვენახი კარგა ბლომად არ ჰქონდეს გაშენებული. დიდი მოსავალიც იცის, ვეღარ ერევიან ხოლმე,—წელს მაინც არ გაგონილა იმდენი მოსავალია. და საწყალ ადესას ამასაც წუნში უგდებენ,—«რასმედ რომ ვარგოდეს, ამდენი ხომ არ მოვაო»—ამბობენ აქა. მაგრამ იმედია, შორს არ არის ის დრო, როცა ყველა ნათლად დაინახავს თავის ღრმა შეცდომილებას ადესის შესახებ.

ამას წინედ «ფრანციის» სასტუმროში, ქუთაისს, ღვინის მოყვარულებმა ერთი უცხო რამ ღვინო მიაკვლიეს და თუმცა ბოთლი ორ მანეთად ღირდა, მაგრამ სულ არ ეძვირებოდათ ღვინის სიკეთის გამო. სასტუმროს მეპატრონე ფრანცუზი აცხადებდა და ღვინის მოყვარენიც მას ეთანხმებოდენ, რომ ღვინო იყო ევროპიული;—ზოგნი ამგზავსებდენ ტოკაის ღვინოსა და ზოგნი ხერესსა, მაგრამ არც ერთი კი არ იყო.

მე ნამდვილად ვიცი, რომ ეგ იყო, ძნელი დასაჯერებელი-კია, ჩვენგან მოძულებული ადესა; ესეც ნამდვილად ვიცი, რომ ამ ღვინის დაყენებაში არავითარი ფაბრიკაცია და გარეშე მასალები გარდა წმინდა იზაბელის ყურძნის წვნისა არა ხმარებულა-რა. ზემოხსენებული ღვინო დააყენა აზ. სიო ბერიძემ სოფ. ხიდის-თავს, გურიაში. მსურველს შეუძლია თვითონ ნახოს და გაიგოს ადგილობრივ, თუ რა ღონის-ძიებას ხმარობს ბ-ნი ბერიძე ამ ღვინის დაყენებისათვის. საძნელო ამ ხელობაში სულ არა არის რა. აი, მისი ხელობაც. მოკრეფისათანავე ყურძენი უნდა დაიწუროს საწნახელში, რომლის შემდეგ ტკბილი დაუყოვნებლივ უნდა გაიწუროს წმინდა საცერში, ჩაისხას ქვაბში და ნელს ცეცხლზედ იდუღოს; დუღილის დროს ქაფი ხშირად უნდა მოეხადოს საქაფავითა. ასე უნდა იდუღოს, სანამ ტკბილი ქვაბში არ დაიკლებს სანახევროდ, მაკალითად, სანამ ოცი ფუთი ტკბილი ათს ფუთზე არ დადგება. ამის შემდეგ ქვაბის ქვეშ ცეცხლს აქრობენ და როცა ტკბილი გაცივდება, წმინდად უნდა ჩაისხას ქვევრში, რომელიც ნახევარი არშინით, თუ ცოტა მეტ-ნაკლებით უნდა დარჩეს ნაკლული. შემდეგი მოვლა ღვინისა უნდა იქნეს ჩვეულებრივი. ამნაირად მომზადებული ღვინო პირველს წელიწადს ძალიან ტკბილია და საკმაოდ მაგარი, ასე რომ ერთი ბოთლის გამოცლა ძალიან გასაჭირია თვით კარგი მსმელი კაცისთვის;—ამასთან სრულებით აღარ ეტყობა იზაბელის ღვინის სუნი და გემო. მეორე წელიწადს სიტკბო ეკარგება და სიმაგრე ემატება;—მესამე წელიწადს კიდევ უფრო მატულობს, როგორც სიმაგრით, ისე გემოვნებითა და ყოველგვარ სიკეთითა სხვა ღირსებასთან ამ ღვინოს ის ძვირფასი სიკეთეც აქვს, რომ სრულებით აღარ ხდება,—სულ რომ წლიდგან წლამდის ნაკლულად იყოს ქვევრში, გინდ სხვა რამ ჭურჭელში—ფიქრი არა აქვს.

მკითხველი კარგად ხედავს რომ ამ ღვინის დაყენებისათვის დიდი თავისმტვრევა არა უნდა რა, კარგად ხედავს, რომ დღეს იქნება, თუ ხვალ ეს ჩვენი მოძულებული ადესა ერთ უძვირფასესს წყაროდ უნდა შეიქნეს ჩვენი კეთილ-დღეობის და წარმატებისათვის.—ერთი ბოთლი იზაბელის ღვინისა 2 მანათად!—ეს კალიფორნიაცაა და კიდევ უფრო მეტი ჩვენის ქვეყნისათვის: სულ რომ ბევრი ვიანგარიშოთ, ყველაფერი რომ ერთიორად დავაფასოთ,—ყურძენიც, შეშაც, შრომაც და დროც,—ბოთლი ღვინო ორს შაურზე მეტი მაინც აღარ დაჯდება; ერთი სიტყვით, ასსა ორიათასი მოაქვს, და ამას რომელი კალიფორნია შეედრება!

იმედია, ჩვენებური ნიჭიანი და მოსაგები საქმის მოყვარული ხალხი კარგად დაუკვირდება ამ გარემოებას და ჩვეულებრივის მეცადინეობით და გამჭრიახობით წინ წაუძღვება ამ ადვილად მოსახერხებელ საქმეს, რომელიც, ეჭვი არ არის, ამ მოკლე ხანში ერთ უმთავრესს სავაჭრო საგნად გახდება ჩვენსა რუსეთსა და ევროპის შუა.

ჩვენს ტფილისის სამეურნეო საზოგადოებასაც დაუდგა კარგი დრო—აწვდინოს ქვეყანას ხელი შემწეობისა თუ პრემიის დაწესებით, თუ იაფი იარაღების და მოწყობილების გამოგონებით ღვინის დაყენებისათვის და თუ სხვა გვარ რამ ხელ-შეწყობითა.

პეტრე გურიელი.

## შინაური ქრონიკა

✱✱✱ ჩვენის გაზეთის მკითხველების (განსაკუთრებით იმერლებისა, გურულების და მეგრელების) ყურადღებას მივაქცევთ დღევანდელს №-ში დაბეჭდილს წერილზე «კალიფორნია ჩვენში», სადაც დაწვრილებით აწერილია ადესის ღვინის კეთება. «ადესას» თუ ყურძნად და თუ ღვინოდ იმ თავითვე გაუტყდა ჩვენში სახელი, დაუვარდა ფასი. იმერეთ-გურია-სამეგრელოში, სადაც შესანიშნავად ისხამს ეს ვაზი, ვერაფრით ვერ მოახერხეს ამ ვაზის ღვინის შეზავება ისე, რომ მცირედად მოსარგებელ სუფრისათვის გამომდგარიყო. დღეს გამოჩნდა ღვთისნიერი კაცი, რომელიც ქვეყანას უმჟღავნებს საიდუმლოს, თუ ჩვენი დაწუნებული ადესა როგორ მომზადდე-

---

ნულს სამართალში ვერ ვპოვებთ. აქ სასტიკად არის გამოხატული მართლმადიდებლობითი შეხედულობა ცოლ-ქმობრივ კავშირზედ. წყეული და კრულვილია ის მართლ-მადიდებელი, რომელიც მწვალებელს ან ურწმუნოს შეირთავს (მუხ. ოგ—ოე). წმინდა მამების სწავლა აღიარებულია საფუძვლად ქორწინებისა და თვით მართლ-მადიდებლობა ისე მაღლა სდგას, რომ სამართალი ჩვეულებრივს ურთიერთობასაც კი უკრძალავს მორწმუნეს უსჯულოსთან (მაგ., «უკეთუ ვინმემ უსჯულოთა ასწავლოს ხომალდისა ანუ ნავისა შენება, თავი მოსჭრან მას», მუხ. ლდ). რასაკვირველია, ამ უკიდურეს შეხედულობასთან ვერ მოთავსდებოდა კანონიერის ცოლის დაგდება თავისის სისხლის და მზითვის დაურვებით და არც არის მოთავსებული. ცოლ-ქმრობამ სამუდამოდ დაჰკარგა თვისი ძველი ხასიათი (პირობა, ხელ-შეკრულობა) და ღვთაებრივ საქმეთ შეიქმნა, დაურღვეველ საიდუმლოდ გადაიქცა. კიდეც ამიტომ უარის-მყოფელი ამ აზრისა მიხდილია კაცურს ღირსებას,—«მემრუშე მოწმად არ დაიჯერება» (მუხ. რიგ, რნდ). უკიდურესი ორტოდოქსული აზრი ისე შორს მიდიოდა, რომ გლეხი ვალდებული იყო თავისის ქალბატონის ღალატი, მრუშება გამოემჟღავნებინა, თუ არა—გლეხი «ცეცხლში დასწვან» (მუხ. რუა). მაგრამ სამართალი ასე სასტიკი იყო მხოლოდ კანონიერის ცოლ-ქმრობის შესახებ; ხასას, საყვარელს კი მოწყალე თვალით უცქეროდა. კანონი არა თუ არ უკრძალავდა ხასის ყოლას, არამედ ზოგიერთა შემთხვევაში უკანონო შვილს (როცა კანონიერი მემკვიდრე არა ვინ იყო) აძლევდა თავისის მამის მთელს სამკვიდრებელს და ხასას კიდევ მეთორმეტე ნაწილს (მუხ. სპვ).

მეორე მხრით, კანონი ყურადღებას აქცევდა ქალის გაუპატიურებას, განხრწნას. იმ შემთხვევაში, როცა განხრწნა ან გაუპატიურება მოხდებოდა ნება ყოფლობით, შეჩვენებას და ძალად ჯვარის წერას უქადიდა სამართალი დამნაშავეთა (მუხ. ოც); ხოლო მაშინ, როცა ამ ბოროტებას კაცი ჩაიდენდა ძალით, «მოტყუებით»,—«ეპისკოპოზმან ცოტას ხანს შეაჩვენოს კაცი იგი და მეფემ კაცსა მას ცხვირი მოსჭრას *) და მისის ყოვლის ფრის საქონლისგან მესამედი დედა-კაცსა მისცენ» (მუხ. ოთ); ხასის მოსარჩლე და მოწყალე სამართალი მაშინაც კი სასტიკად სჯიდა კაცს, როდესაც იგი დედა-კაცის ნებით ისიძებდა მასთან; ამ შემთხვევაში ღარიბს სასარცხვინო სასჯელი მოელოდა... «უკეთუ გლახა ღარიბი იყოს და არა ჰქონდეს-რა, ძლიერად ეცეს, ლაფი დაასხან და ბაზარში შეარცხვინონ და მისის სამკვიდრებელისაგან განგდებულ ყონ კაცი იგი» (მუხ. პ.)

ბერძნული სამართალი დიდს მნიშვნელობას აწერს ასეთს ჩვეულებას, როგორც განსვენებული მეუღლის გლოვა, მისთვის ტირილი, სამგლოვიაროს ჩაცმა (მუხ. ქე—ქზ), რაიცა ამტკიცებს, რომ კანონი იქაც კი ეჩხირებოდა, სადაც მას არა ეკითხებოდა-რა.

როგორც ვახტანგის სამართალმა, ისრე ბერძნულმა იცის მიზეზები ცოლის გაგდებისა და მათ შორის: 1) ეშმაკეულობა, 2) განძრახ მეუღლის წახდენა (მუხ. ოვ., ქგ.). პირველი ამ მიზეზთაგანი ვახტანგის სამართალშიც არის მოხსენებული (სიგიჟე, ბნედიანობა, მუხ ს.ე), ხოლო მეორე კი არა. მის მაგიერ ჩვენი სამართალი უფრო ნამდვილს და შესაწყნარებელ მიზეზს ასახელებს: . «იქნების კაცი ასე ჭანი იყოს, რომ ცოლთან წოლა კი შეეძლოს და შვილის შექნა კი არ შეეძლოს, ამისთვინაც არ გაიყრებიან. და თუ სულ ასრე მცვედანი არის, რომ ქალთან წოლა არ შეუძლიან, უნდა კაცმან ცოლს დასტური მისცეს სხვის ქმრის შერთვისა» (მუხ. რჲც).

ჩვენ ვუჩვენეთ, რომ როგორც ბერძნული, ისრე ვახტანგის სამართალი სასტიკად სდევნის მრუშებას. მეტადრე ვახტანგის კანონებში ეს ბოროტმოქმედება საკმაოდ ვრცლად არის განმარტებული. სჩანს, რომ იგი ხშირს მოვლენას შეადგენდა და კანონ-მდებელი იძულებული იყო მიექცია მისთვის ჯეროვანი ყურადღება. მეორე მოვლენასაც ადგილი ეჭირა ჩვენს წარსულს ცხოვრებაში—ცოლის წაგვრას, ძალად მოტაცებას. და კანონიც არ ივიწყებს ამას. შევნიშნავთ პირველად, რომ ქალის მოტაცებას, ხალხის შეხედულობით, ისტორიული საბუთი ჰქონდა, უძველესის ჩვეულების ძალა, მნიშვნელობა. ჯერ ეხლაც, როგორც წინადაც ვუჩვენეთ, ჩვენი მთიელები ცოლს მოტაცებით შეირთავენ ხოლმე. და რაც აწ თითქმის ხელ-უხლებლად დარჩა მთაში, მას ხომ ძალა ექნებოდა ქართლშიც, თუმცა ისეთი კი არა, როგორიც პირველ ადგილას. ბონებრივმა და ზნეობრივმა წარმატებამ, ეკლესიის სწავლის შეთვისებამ შეასუსტა ქართლში ძველი ჩვეულებას ქალის მოტაცება, მაგრამ ცოტათი მაინც იგი ისევ დარჩა ხალხის ცხოვრებაში და სწორედ ამას უჩვენებს კანონიც. ვახტანგის სამართალი იხსენიებს დედა-კაცის ორ-გვარ წაგვრას,

*) საკვირველია, რომ ცხვირის მოჭრა ეხლაც ჩვეულებად მიაჩნიათ ჩვენს მთიელებს: რამდენიმე მაგალითი ვიცით, რომ ქმარმა მოღალატე ცოლს ცხვირი მოსჭრა და სხვა კი არა დაუშავა-რა.

ბა ისე, რომ ბოთლი ღვინო მისი 2 მანეთამდე ეღიროს. თუ ნაჩვენები საშუალება, ხილობა მართალი გამოდგა—ადესის ღვინო, რაღა კითხვა უნდა, ძალიან ხელს გაუმართავს განსაკუთრებით იმერეთის, გურიის და სამეგრელოს მემამულეთ.

∗∗∗ სვირის სკოლის მასწავლებელი დ. გ. დევიძე გვთხოვს ჩვენის გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ გულითადი მადლობა მოსკოვს ქართველ სტუდენტებს, რომელთაც შეუწირავთ მისდამი რწმუნებული სკოლისათვის რამდენიმე ქართული წიგნები.

∗∗∗ ქუთაისიდამ გვწერენ: «ერთი სახელგანთქმული ქურდი მთელს ქუთაისს აწუხებს; შუა დღისით თავისუფლად შედის სახლში, თუ ვინმემ მიასწრო—ეკითხება; ესა და ეს კაცი სადა სდგასო;—თუ არავინ შეხვდა, მაშინ კი დაავლებს ხელს, რაც შეხვდება მოსაპარავი და გაუდგება გზას. ამ რიგად მოიქცა ეს ქურდი აქაური პოლიციმეისტრის თანაშემწის სახლში: შევიდა ეზოში, იკითხა ვიღაც ექიმი. მოსამსახურემ, რომელსაც ჰკითხა, არ იცოდა სად იდგა ეს ექიმი და შევიდა ოთახში საკითხავად; როდესაც მობრუნდა აღარც კაცი დახვდა ბალკონზე და აღარც ჩაის კოვზები და სასანთლეები. ამ გვარადვე გაქურდა ოქრ. ჩ—ლი, რომელმაც დროზე მიუსწრო ამ ქურდს და დაიჭირა; სასამართლომდი საქმე აღარ მიიყვანეს, რადგან ჩ—ლს ურჩიეს, რომ არაფერი გამოდნებაო; ქურდმა მისცა ოცი მანეთი ჩ—ს და მორიგდნენ.

მარიამობისთვის 24 ს, შუა დღის თორმეტ საათზე, ეს ქურდი ეწვია ივ. ან—ძის სახლს; ერთს ოთახში გამოსწია კამოდი, ამოიღო კოლოფი, გასტეხა რაც შიგ ოქრო-ვერცხლეულობა იყო, ღირებული თუთხმეტ თუმნამდე და წაიღო, მაგრამ, რაღაც ბედზე მალე გაუგეს, გაუდგნენ კვალში და დაიჭირეს. ნივთები ზარაფთან მიეტანა და ჰყიდდა. როდესაც პროტოკოლს სწერდა პრისტავი, ან—ძესაც ურჩიეს მორიგებოდა ქურდს, თორემ მრავალ ჯერ დაუჭერიათ, და ვიღაც ნათლიის წყალობით ისევ გაუნთავისუფლებიათო. ან—ძეს არ დაეჯერებინა, წაეღო პროტოკოლი და ქურდი წარედგინა სასამართლოში. მოსამართლემ ჰკითხა ქურდს: სცნობ დამნაშავედ თავს, თუ არაო?—დიაღ, ბატონო, ვსცნობ,—მიუგო ქურდმა, მაგრამ მე ამ ნივთების წამოღება კი არ მინდოდა, ამას (ან—ძეზედ უჩვენა) აქვსო, მითხრეს, ორი ათასი მანეთი კამოდშიო და იმის წაღება მინდოდაო; რადგან ფული ვერ ვნახე, ეს ნივთები წამოვიღეო. ასეთი გულ-წრფელი გამოტეხის შემდეგ, მოსამართლემ უთხრა: ოცდაათი თუმნის თავდები მოიყვანე და გაგიშვებო. თავდები და მოწამე ჩვენში ვის გაუჭირდება ათასი მშიერი «აპუკანტები» მზად არიან სასამართლოს კარებში ქურდების გასაშვებად. და ეხლა განთავისუფლებული ქურდი მექადნის მეც და დამჭერსაც:—მე ვიცი და იმათაო. მკითხველმა დართოს განმარტება ამ ფაქტს.

∗∗∗ ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი პ. ა. იზმაილოვი ამ თვის ექვს ბათუმში წასულა ფინანსთა მინისტრის წინაშე წარსადგენად. მას მინდობილი აქვს, რომ იშუამდგომლოს რამე შეღავათი მიეცეს იმ პირთ, რომელთა მამულებიც აწ გაუქმებულს პრიკაზში იყვნენ დაგირავებულნი. საგუბერნიო სასამართლოში ამ თვის ორიდამ დაიწყო ზოგიერთა მამულების გაყიდვა, მაგრამ ჯერ არც ერთი მამული არ გაყიდულა, რადგანაც მსურველნი არავინ არიან („ნოვოე ობოზრენიე“)

∗∗∗ ამ თვის ხუთს ქალაქში ჩამოვიდა ტფილისის ოლქის სასამართლოს ახლად დანიშნული პროკურორი ა. ი. ჩაიკოვსკი.

∗∗∗ ბორჯომიდამ აცნობებენ გაზეთ „კავკაზს“, რომ ბორჯომზედ ორმოცი ვერსის მოშორებით ციციშვილების ტყე იწვისო. ეს ამბავი მალე შეატყობინეს ადგილობრივს მაზრის უფროსს და იმანაც მაშინვე გაგზავნა გორის მაზრიდამ 150 მუშა ცეცხლის გასაქრობად. ცეცხლ-მოკიდებული ტყე შვიდი ვერსის სიახლოვეზეა დ. თ. მიხეილ ნიკოლოზის-ძის მამულზედაო.

## უცხოეთი

◆◆ ქვეყნიურს დიპლომატს თ-დს ბისმარკს ათასში ერთი შეცდომა თუ მოსვლია შინაგან თუ გარეშე პოლიტიკაში მასუკან, რაც გერმანიის ბედიღბალი მის ხელთ არის. პრუსიის კანცლერმა შესანიშნავად განადიდა თვისი სამწყსო. ევროპის სახელმწიფოთ კარგად შეიგნეს თ-დის ბისმარკის პოლიტიკა და ყოველს მის დიპლომატიურს ნაბიჯს დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალს, ასწონ-დასწონიან ხოლმე. მაგრამ უფრო ხშირად ამ გენიოსს დიპლომატს შეცდომაში შეჰყავს ერთი თუ მეორე სახელმწიფო. უეჭველად სჩანს, რომ შიგ ევროპაში გერმანიის კანცლერი ძლიერ ერიდება ომის ატეხას. ამ მხრით მას ბევრი რამ აშინებს და ყველაზედ უფრო-კი ის, რომ კარგა გემრიელი ლუკმა საფრანგეთისაგან წაგლეჯილი არ წაერთვას მას. და რაკი ბისმარკის პოლიტიკა ის არის, რომ მუდამ ბრძოლაში ყოფნით დაარესტოს სხვა სახელმწიფონი და გერმანიას ხელ გაუნძრევლად ჰმატოს და ჰმატოს ყოველ-მხრივი ძლიერება, «რკინის გრაფი» მუდამ იმასა სცდილობს, რომ ხან ერთსა და ხან მეორეს ევროპის სახელმწიფოს დავა აუტეხოს ევროპის გარეშე, წვრიმან სახელმწიფოებთან, თუ სამთავროებთან. ექსპედიციები: სუდანში, ტუნისში, ტონკინში, ანაგაში,—ყოველ ამას თ-დის ბისმარკის დიპლომატიურს მანქანებას აბრალებენ.

ამ ექსპედიციებში გაბანდებული იყვნენ საფრანგეთი და ინგლისი, როცა თ-დმა ბისმარკმა კოლონიალურს პოლიტიკას მიჰყო ხელი. და, აი, ამ პოლიტიკაში მოუვიდა გერმანიის კანცლერს შეცდომა, რომლისათვისაც ეხლა თვით ნანობს და სცდილობს როგორმე გამოასწყოს საქმე. ეს შეცდომაა—კაროლინის ერთ კუნძულთაგანის—იაპის დაჭერა გერმანიის ჯარებისაგან, რამაც ისეთი მღელვა-

---

მოტაცებას—მისის ნებით და ძალად მოტაცებას. თვით სასჯელიც ორნაირია—პირველისათვის (ნებით წაგვრა) მსუბუქი, მეორისთვის (ძალად მოტაცება) ძნელი. «თუ კაცმან ცოლი წაგვაროს კაცსა, ასე რომ დედა-კაცი მისის ნებით გაყვეს, იმ დედა-კაცის ქმარი რასაც გვარისა იყოს, მისი სისხლი ორი წილი გარდაიხადოს...» (მუხ. პდ). ძალად მოტაცებისათვის სხვა იყო: მთელი სისხლი და კიდევ ორი წილი სისხლისა ($1^2/_3$, მუხ. პე.)

სომხურს სამართალში უფრო ვრცლად და საფუძვლიანად არის ნაჩვენები—რომელი მიზეზისაგამო შეიძლებოდა ცოლ ქმრის გაყრა. მიზეზნი მრავალნი არიან მოხსენებულნი. კანონი ისე სასტიკად უცქერის ცოლ-ქმობრივს კავშირს, რომ საჭიროდ სთვლის, წვრილმან გარემოებასაც კი ყურადღება მიაქციოს. არსებითი ხასიათი სომხურის ცოლ-ქმრობისა მდგომარეობს მასში, რომ ქორწინებრივს კავშირს წინ უძღვის ერთი ერთმანეთის სურვილი (მუხ ტლბ) და ამ სურვილს სამართალი დიდადაც აფასებს. მეორეს მხრით, ეკლესიას დიდი გავლენა და მნიშვნელობა აქვს, იგი მაღლა აყენებს ყოველ გვარ ნათესაობას, უკრძალავს ახლო ნათესავთა და გვართა ცოლქმრად შეყრას (მაგ., აკრძალულია შერთვა ძმის ნაცოლარისა, ცოლის დისა, ბიძის და დედის-დის ქალისა, ცოლის ახლო ნათესავისა მუხ. ნდ.—ნვ), რადგანაც...» რომ მოხდეს ნათესავთა ცოლ-ქმრობა... ატირდების ქვეყანა, ნაკლულევანება შეიქნება ყოვლის საქმითა, ნადირნი, თევზნი, ფრინველნი მოაკლდების და ღმერთი რისხვით დახედავს ქვეყანას» (მუხ. ტჲბ). თუმცა ხსენებული სამართალი ასე მკვიდრად ადგია ეკლესიის სწავლას და აღიარებს «უფალმა მარტო ბოზობისათვის თქვა გაშვება და არა სხვა გზათა» (მუხ. რჲე), მაგრამ სხვა ადგილას ქმარს ნებას აძლევს «უსაბაბოდ» გაუშვას ცოლი (მუხ. მვ). რასაკვირველია, გაყრა დიდი ცოდვაა დანაშაულობისათვისაც-კი ბოზობის გარდა, (მუხ. მზ), დიდი ცოდვაა ეგრეთვე «უსაბაბოდ» დაგდებაც; კანონი თვითონ აღიარებს ამას და ცოდვას მაინც არას დაედებს... არა თუ ცოლის უსაბაბოდ დაგდება, ორის ცოლის ყოლაც მოხსენებულია ამ სამართალში და თუმცა ორცოლიანობა, თვით სამართლის სიტყვით, კანონის წინაამდეგია, მაგრამ იგივე კანონი განმარტებს, რომ უფროსობა პირველის ცოლის შვილს ეკუთვნისო (მუხ. სჲა). მაშ ორ-ცოლიანობას კანონი ურიგდება, იწყნარებს.

თუ ერთი ერთმანეთის სურვილი ცოლ-ქმრობის საფუძვლად არის მიღებული, მაშ ღალატი დიდი დანაშაულობა უნდა იყოს და სწორედ ასეც არის. ბოზს ცოლს სიკვდილით დასჯა მოელოდა, მებოზარს ქმარს—ხელის და «სასირცხოს» მოჭრა (მუხ. როტ). კანონი ამასაც არ სჯერდებოდა: დაქვრივებულს ათის თვის ადრე უკრძალავდა ხელ-ახლად გათხოვებას და რომელიც-კი ამას დაარღვევდა, «ბოზობა უქნია», «პატივი ახადონ» (მუხ. ჲვ).

რა იყო კანონიერი მიზეზი ცოლის გაშვებისა?—1) ბოზობა (მუხ. მზ, ჲზ); და არა თუ აშკარა ბოზობა, არამედ 2) უცხო კაცის სახლში დაწოლა, ძილი, ავსა ალაგას წასვლა სათამაშოდ (მუხ. პზ), 3) სიგიჟე და ბნედიანობა (მუხ. პბ), 4 ავი ქირი, «ასრე შეიქნას, რომ კაცი ველარ მიუდგებოდეს» (მუხ. პგ.—ამ შემთხვევაში ერთი-ერთმანეთის სურვილით შეიძლებოდა გაყრა), 5). თუ შვიდ წელიწადს ვერ იპოვოს დატყვევებული ცოლი (მუხ. რნტ, ტნვ), 6). ერთი-ერთმანეთის სიძულვარე; «გულ-ანჩხლობით და გულ-ჯავრობით ბევრი ავი საქმე და სიკვდილი მოხდება; ამისათვის იქნების გაყრა» (მუხ. რნთ, რჲე), 7) უშვილობა თუ ცოლი ნებას მისცემდა, მუხ, რჲა); ეგრეთვე სხვა ხინჯი (მუხ. ტმვ) და ისიც, როცა აღმოჩნდებოდა, რომ ქორწინების წინად ცოლი ქალწულობას მოკლებული იყო, (მუხ. რპ, სობ.) 8) კუდიანობა, მწვალებლობა, რჯულის დაგდება (მუხ. რჲზ, სჟე)

ზოგიერთა ამ მიზეზებთაგანი სრულს ნებას აძლევდა ცოლსაც ქმარი გაეშვა. მაგრამ ხსენებულმა სამართალმა საკუთარი მიზეზებიც იცის ცოლისათვის: 1)... «თუ ქმარი ბიჭთან ურიგოდ მქცეველია», თუ ცოლსა სცემდეს მარგილითა და ჯოხითა და საბლითა შეგრეხილითა» და სხ. (მუხ. პტ), 2). «თუ ქმარმან ქალწულობიდამ ვერ შეშალოს» (მუხ. რნვ, რასაკვირველია, სხეულის სისუსტისა ან სხვა მიზეზის გამო), 3). «რასაც დროს რომ ნახოს ცოლმა ქმარი ურიგოდ მქცეველი... ანუ პირუტყვთან და ან თათართან და ურჯულოსთან და ან იყოს კაცის მკვლელი»... (მუხ. რჲბ), 4) «თუ ვინმე დახოჯავებული იყოს ანუ თავის თავად წამხდარი»... (მუხ. ტკვ).

სომხური სამართალი არც ქალის მოტაცებას აგდებს უყურადღებოდ. მეტადრე ძნელია ქალწულის მოტაცება—კანონი სიკვდილს უქადის დამნაშავეს (მუხ ჲბ, პე); ეგრეთვე სხვის დანიშნულისა მოტაცებისათვის (მუხ. სჟ.—სიკვდილს აცილებდა ჯარიმისა და სისხლის მიცემით). მოტაცებად ისიც მიაჩნდა კანონს, როცა ვინმე წაიყვანდა ქალწულს მშობლების დაუკითხავად, ნება-დაურთველად და თუ სასიძო დასწვებოდა მასთან და შემდეგ ჯვარს დაიწერდა—«მართალს გვირგვინს ნულარ მიიღებენ მათზე, ტირიფი მოაკრკვალონ და ის დაადგან თავსა მათსა და ისრე დასწერონ ჯვარი»... (მუხ ტმტ).

ნ. ხიზანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება გამოიწვია ესპანიაში. ბისმარკი უკან იწევს — ეს ერთობ იშვიათი მოვლენაა, — ხათრს უწევს ესპანიას გერმანიაზედ დიდად უძლურს სახელმწიფოს ყოველის მხრივ.

ფრანც. გაზ. «Gaulois»-ს სწერენ ბერლინიდამ, რომ გერმანიის იმპერატორის ინიციატივით გერმანია კვალად უბრუნებს ესპანიას კუნ. იაპს. ამის უარს არც ბისმარკი ამბობს, რადგან მას ეშინიან ესპანიის მეფე ალფონსის გადაყენებისა.

მეორე შეცოდება თ-დს ბისმარკს შინაგან პოლიტიკაშიც მიუძღვის. ეს არის პრუსიის მმართებლობის განკარგულება, რომლის ძალითაც ყოველი არა-ქვეშევრდომი პრუსიისა იდევნება ამ სახელმწიფოდამ. ევროპის სახელმწიფონი, თავიანთ გაზეთების საშუალებით, დიდს უკმაყოფილებას აცხადებენ ამ განკარგულების გამო, მაგრამ პრუსიის მმართებლობა ყურს არავის უგდებს და ხელმძღვანელობს მით, რომ ეს განკარგულება მიმართულია პოლონურ პროპაგანდის წინაალმდეგათ. ეს ტყუილი თავის გამართლება მოსდის პრუსიის მმართებლობას რადგან განდევნილთ შორის არიან, სხვათა შორის, ავსტრო-ვენგრიელნი და ისეთი მცხოვრებნი პრუსიისა, რომელთაც პროპაგანდიისა არასოდეს არა სცხელოდათ და განსაკუთრებით ვაჭრულსა და სხვა რამ წარმოებას ჰკიდებდენ ხელს.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი"

სექტემბრის 6-ს.

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნის წესი, რა წესითაც ამიერიდამ რუსეთი და გერმანია ერთმანეთ-შორის დაიცვენ აქციონერულ საზოგადოების უფლებათ: აქციონერულ, ანონიმურ, ვაჭრულ, მრეწველობითი ანუ ფინანსიურ საზოგადოებათ, რომელნიც, ერთ-ერთ ამ სახელმწიფოთაგანში წარმოებენ, ნება ექმნებათ სასამართლოს წესით დაიცვან თავიანთი საქმენი მეორე სახელმწიფოში.

ლონდონი. დღეს გამოიცა გლადსტონის არჩევანის მანიფესტი: გლადსტონი აცხადებს, რომ ახალს პარლამენტში ვერ მიიღებს იგი მონაწილეობას და სთხოვს თვისს ქვეყანას აღადგინოს მისდამი რწმუნება. იცავს რა თვის გარეშე პოლიტიკას, გლადსტონი წინაალმდეგია ეგვიპტის შემოერთებისა, ინგლისის მფარველობისა ამ ქვეყანაზე და ინგლისის ზარალის დაკმაყოფილებისა. გლადსტონი ჰფიქრობს, რომ ინგლისის ერის დიდების აღსადგენად, საჭიროა — ამ სახელმწიფომ სრულიად დაანებოს ეგვიპტეს თავი. შინაგან პოლიტიკაში გლადსტონი საჭიროდ სთვლის: სამიწა-წყლო წესის შეცვლას, გადასახადების სამართლიანად გაწერას, ლორდთა პალატაში ცვლილების მოხდენას და ადმინისტრატიულ დეცენტრალიზაციის გამძლიერებას. გლადსტონი აგრეთვე შესაძლებელად სთვლის ირლანდიისათვის ისეთის ავტონომიის მინიჭებას, რომელიც არაფრით არ ავნებდეს ინგლისის უმაღლეს ხელმწიფების უფლებათ.

ბერლინი. ერთს წელს კიდე გაგრძელდება სამხედრო მდგომარეობა.

## ბირჟა

პეტერბურგი სექტემბრის 3.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — — | $24\frac{1}{32}$ $24\frac{1}{8}$ 24 |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — — | $204\frac{3}{8}$ 205 $204\frac{1}{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $252\frac{3}{4}$ $252\frac{1}{2}$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 26 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 25 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 33 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი — — | $5\frac{1}{4}$ და $6\frac{1}{2}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | $99\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | $99\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | $98\frac{1}{2}$ მ. მყ. |
| მეოთხე გამოც. — — | $98\frac{1}{2}$ მ. მყ. |
| მეხუთე გამოც. — — | 98 მ. 62 კ. მყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — | $97\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოც — — | 97 მ. 62 კ. მყ. |
| მესამე გამოც. — — | $97\frac{1}{2}$ მ. მყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $220\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა — | $208\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | 174 მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები — — — | 27 წ. $89\frac{1}{2}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 92 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |


# განცხადებანი

## ქალი

ზომიერის ფასით ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებელთა მეოთხე კლასამდე მიიღებს პანსიონერებსაც. ადრესი — «დროების» რედაქციაში (3—2)

სამასწავლებლო მთავრობის

ნება დართვით გაიხსნა

1 კლ. სასწავლებელი

## პანსიონით

ყმაწვილების მოსამზადებლად გიმნაზიაში, რეალურს და სხვა სასწავლებლებში შესასვლელად. კუკია ელისაბედის ქუჩა სახლის № 99. (5—2)

სასწავლებელი და პანსიონი

კლასიკური გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის 4 წლის კურსით

ა. ს. გინკულოვისა.

მოწაფეთა და პანსიონერთა მიღება დაიწყება ენკენისთვის 2-დამ; სწავლა ენკენისთვის 5-დამ დაწვრილებითი პირობანი შეიძლება შეიტყოს მიხაილის ქუჩ., № 81 და ელისაბედის ქუჩ., № 10. (5—4)

# კომერციული კურსები

ორივე სქესის პირთათვის.

წელიწადი მეოთხე

კურსებს საგნად აქვთ მისცენ სპეციალური კომერციული განათლება ორივე სქესის პირთ და ასწავლონ პრაქტიკული ანგარიში.

1885—86 წელს ასწავლიან შემდეგს საგნებს: 1) კომერციული ეკონომია, 2) კომერციული არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (უბრალო, ორმაგი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქზედ, 5) კომერციული მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი. 7) სუფთად და საჩქაროდ წერა, მსურველთათვის ფრანცუზული ენა.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 15-დამ, ახალნი მოწაფენი მიიღებიან აგვისტოს 25-დამ ყოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდის, კურსების სადგურში, რომელიც იმყოფება სოლოლაკზედ, ლაბარატორიის ქუჩაზედ ივანე ყორღანოვის სახლში № 11. პროგრამები და წესდებანი უფასოდ ეძლევათ წოვიანოვების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზედ და ტერ-სარქისიანის საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზედ. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ მიმართონ წერილით კურსების დამაარსებელს ს. მანუელიანცს. (8—6)

# ლითოგრაფია

გიორგი დემურაშვილისა

გადავიდა გოლოვინის პროსპექტზედ თ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლში. შესავალი ლითოგრაფიაში კლასიკური გიმნაზიის ქუჩიდამ.

მიღებულია მსწრაფლ-მბეჭდავი ლითოგრაფიის მაშინა.

ლითოგრაფია ზომიერ ფასად იღებს საქმეებს და მსწრაფლად ასრულებს. (3—3)

ი. ა. ფორაქოვის და დ. ზ. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვას სახლებში სასახლის ქუჩაზედ).

ისყიდება

დაწმენდილი პურის არაყი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის ადრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Поракова и Д. Сараджева. (20—18)

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | 1 მან. — კაპ. | ჩაის | სხვაგან 1 მ. 20 ღირებულს. |
| ,, ,, | 1 — 20 — ,, | ,, | 1 — 50 — |
| ,, ,, | 1 — 40 — ,, | ,, | 1 — 80 — |
| ,, იშვიათი | 1 — 60 — ,, | ,, | 2 — 20 — |
| ,, ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — ,, | ,, | 2 — 50 — |
| ,, ფუჩეფუ | 2 — ,, — ,, | ,, | 2 — 80 — |
| ;, ფენომენი | 2 — 40 — ,, | ,, | 3 — ,, — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ. (100—25)


Доз. ценз. Тифлисъ, 6 Сентября 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი